



სამუშაო უნიტეტი

მუსავათი

(იბეჭდება თა კვირაში ერთხელ)

ყურნალის ფასი წელიწადში 3 მან. || რედაქცია: კავკასიონ სამეურ. საზოგადოება
თითო ნომერი ხელშე გასახყიდად . 10 კაპ. || აღრესი: თიფლის, ვარიანსკაია, № 5.

წელიწლი ჰირვილი

1909 წელიწლი.—14 მარტი მობისთვე.—№ 7.

შ ი ნ ა რ ს ი

8. რცხილაძე	მცენარენი და ცხველნი.—უფრედი და მისი უდიენიდა	3
9. ზალიშვილი	მიწის შემუშავება	5
დ. მდივანი	მეგენასეთა საუკრადებოდ—წერილი იმერეთიდან	8
3. შ—ელი	ბუნებრივი სასუქი სესილებისათვის	11
6. მაკარაშვილი	ვაზის ფოთლის მხვევები ჭია კახეთში	13
8. მაღალაშვილი	როგორ უნდა გამრეს ითხვა, სამეურა და სხვა მათი უზარესი ბალანსი, რომ თიგა ნოვერი გამოვიდეს	14

როგორი პირი უჩანს მოსავალს:

ივ. პაატაშვილი	განვითარება	15
დ. მდივანი	ტერმინი იმერეთიდან	16
ივ. ჯორჯაძე	გურჯაანიდან	16
საყურადღებო ცნობები		16

სამეურნეო ჟურნალი

გრივალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალში მონაწილეობას შეიძებენ: — ავტორი პ., ალიბეგოვი ვ., ბერეკას შვილი გ., გვერდწიოელი პ., გოგნივი ლ., გოგიჩიშვილი ფ., ღელაბრიშვილი შ., ეირანის ვი ს., გუაფშველა, იოსელიანი ე., კანძელაშვილი ე., კალანდაძე ნ., ლორთქიფანიძე პ., ლიონიძე ა., მაკარაშვილი ნ., მოსეშვილი ი., მრევლიშვილი გ., მეურნალი ნ., მურვანიშვილი მ., მჭედლიშვილი ვ., მაზულაშვილი მ., მაღალაშვილი მ., მღიგანი ღ., ნინეიშვილი მ., ნახუცრიშვილი გ., ნასარ-ძე ს., ქარიანი ს., ედონაშვილი ზ., ღვთისავაროვი კ., ზალიშვილი მ., ჯაფარიძე გ., ყ კრისტიანი ს., ჩოლოევი ს., რეზიგაშვილი თ., რეზილაძე ვ., ხუნდაძე ს., ტომოფევევი ს., სააკვი ა., ქარცივაძე მ.

რედაქტორი მოელის სხვებიდებანაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.

თანამშრომელთა საზურადლებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩე) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპრიეტულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქტორი შეასწოროს და შეამოვლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქტორი მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედუ ყველა სამეურნეო წარმოების შექნარებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრი-ონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ლირს ორი შაური.

წლიურ აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქტიასთან შეთანხმებით. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

ქუთაისში ხელის მოწერა ჟურნალზე მიღება წიგნის მაღაზიაში „იმერეთი“

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე

მცენარენი და ცხოველები

უზრუნველყოფის
მისი შედეგების

უკანა მცენარეთა და ცხოველთა ორგანიზმონი უჯრედებისაგან შესდგებიან.

რადგან ზოგი ორგანიზმო მხოლოდ თთოვ უჯრედისაგან შესდგება და ზოგი კი მრავალი უჯრედისაგან, ამიტომ მცენარეთა და ცხოველთა ყველა ორგანიზმოებს თან დიდ რიგად ჰყოფენ: ერთუჯრედიანი ანუ მარტივი ორგანიზმონი და მრავალუჯრედიანი ანუ რთული ორგანიზმონი.

მომეტებულ შემთხვევაში მრავალუჯრედიანი ორგანიზმონი თავიანთ განვითარების პირველ დაწყებაში ჯერ ერთუჯრედიანები არიან ხოლმე. აქ იგულისხმება არა მარტო ის ორგანიზმოები, რომელიც დედა-უჯრედის დაყოფით მრავლდებიან, არამედ ისინიც, რომელნიც კვერცხიდან, როგორადაც ერთი უჯრედიდან, განვითარდებიან.

უმთავრესი შემადგენელი ნაწილები ყოველი უჯრედისა არიან პროტო-ლაზმ და გუნდი.

თანახმად ამ უკანასკნელ დრომდე არსებულ შეხედულებისა გუნდი უჯრედის საჭირო ნაწილად არ ითვლებოდა ყოველთვის, რადგან მცენარეთი სამეფოში, მაგალითად, ბაქტერიები და ზოგიერთი სხვა უჯრედები მხოლოდ პროტო-ლაზმისაგან ითვლებოდნენ შემდგარნი.

დღეს, ბიუჩილის გამოკვლევების შემდეგ, ამგვარ შეხედულებას საფუძველი აღარა აქვს.

სსენებულ უჯრედებში გუნდი არამც თუ არის, არამედ იგი თურმე უშეტეს ნაწილს შეადგენს ამ უჯრედებისას.

უჯრედის იმ ნაწილს, რომელიც ეხლა ბიუჩილის გამოკვლევების თანხმად გუნდათ მიიღება, უკანა ის თვისებები აქვს, რითაც გუნდი დახასიათდება: სხვა და სხვა ნივთიერების წვრილ მარცვლებს ჰლებავს სწორედ იმ ფერით, რომელიც გუნდის ამოსაცნობად იხსარება; აპრკოლებს კუჭის წვენში დაღნობას იმ ნივთიერებებისას, რომელნიც უამისოდ ადვილად დნებიან ამ წვენში; გარდა ამისა, ქიმიური ანალიზით აღმოჩენილ იქმნა ბაქტერიებში ეგრედწოდებული ნუკლეინი—ნივთიერება, რომლიდანაც უმეტესად შესდგება უჯრედის გუნდი.

გარდა პროტო-ლაზმისა და გუნდისა, როგორადაც უმთავრესი შემადგენელი ნაწილებისა, უჯრედში განირჩევიან სხვა არა-უმთავრესი შემადგენელი ნაწილებიც (centrosoma) და მათ შორის პროტო-ლაზმში შერეული სხვადასხვა საკვებავი ნივთიერებანი, პიგმენტის მარცვლები, ზეთისა და სხვა სითხეების წვეთები და სხვა და სხვა.

უჯრედები ოდენობითა და ფორმით უკანა ერთნაირნი არ არიან. ზოგის ოდენობა მიკროსკოპიულია და ზოგისა კი რამდენიმე მილიმეტრი და ზოგჯერ რამდენიმე სანტიმეტრიც არის ხოლმე. ფორმა უმეტესად დარგვალებული აქვთ, ხოლო არიან უჯრედები გაჭიმულ-გაწოწლოტინავებულნიც, პრტყელი ფირფიტას მზადესნი, გაფორჩილნი, კუთხოვანი, მრავალ გვერდანი და სხვა.

პროტო-ლაზმის თვისებანი

პროტო-ლაზმი არის ლიანწო თითქმის ყოველთვის უფერული და მას-

თან ისეთი, რომელიც არ იხსნება წყალში.

წყალთან შედარებით იგი უფრო მკვრიცია და ამიტომ უფრო მძიმე, თუ სხვა სუბუქი ნივთიერებანი—ზეთები, ჰაერის ბუშთები—არ ურევია ბლომათ.

სინათლის სხივსაც პროტოპლაზმო უფრო მეტად სტეხავს, ვიდრე წყალი, რის გამოც მისი სელები ადვილად განიჩევიან წყალში.

ხშირად პროტოპლაზმის წყალი ისე ბლომად ურევია ხოლმე, რომ სითხეს მოგვაგონებს თავისი თვისებებით.

პროტოპლაზმის შემადგენელ ნივთიერებათა შორის უპირველესნი არიან ცილანი, როგორადც დამბადავნი სიცოცხლისა და მოქმედებითა თვისითა გამომსახველნი მისი.

ცილანი იგი: **ალბუმინი, გლობულინი, ფიბრინი, ნუკლეინი** და სხვა წარმოადგენენ თითოეულად ძლიერ რთულ ორგანიულ შეერთებას, სადაც უმთავრესად არიან ნახშირბადი, მევაბადი, წყალბადი, აზოტი, გოგირდი და ხან ფოსფორიც, რკინიც და სხვა.

ესოდენ მრავალი და რთული ნივთიერებანი პროტოპლაზმიში, როგორადც მის შემადგენელი ნაწილები, რა სახით ადგენენ ამ პროტოპლაზმის, როგორია ამ უკანასკნელის **აგებულება**, დღემდე გამოუკვლეველი რჩება მეცნიერებაში.

არის რამდენიმე ნაირი საყურადღებო წარმოადგენა—**ჰიპოტეზა**—ამ შედეგენილობის შესახებ (პროტოპლაზმის შედეგენილობას ამგზავსებენ მაგალითად ზოგიდან ამოღებულ ღრუბლის შედეგენილობას, ქაფის შედეგენილობას, წარმოიდგენენ ქსელებისაგან შემდგარს, წვრილ ხორხოშელას მზგავსი მარცვლების მაგვარი და სხვა), ხოლო არც

ერთი წარმოადგენა არაა დამტკიცებით დამკვიდრებული და უტყუარიად მიღებული მეცნიერებაში.

გ უ ნ დ ი

ფორმით გუნდი მომეტებულ შემთხვევაში რგვალია ბურთსავით ან ცოტა მოგრძო. ხან კი ძალიან არის სიგძეზე გაჭიმული, ხან გაპრტყელებული, გაფორმირებული და სხვ...

ოდენობით ხან დიდია უჯრედის და გვარად, ხან ძლიერ პატარა.

გუნდი უჯრედში უფრო ხშირად ერთი ან ორია ხოლმე, ხოლო ზოგჯერ კი ძლიერ ბევრი. მაგალითად წურბელა (Piscicola)-ას კანის ჯირკვლებში 300—400 გუნდს სთვლიან თითო უჯრედში, ზოგ ინფუზორების უჯრედებში 1000-მდე გუნდი როვლება.)

გუნდი შედეგენილობით ძლიერ რთულია. მის შემადგენელ ნივთიერებათა შორის უმეტესად ორი ნივთიერებაა: **ნუკლეინი** ანუ **ქრომატინი** და **პირენინი**.

ნუკლეინი გუნდში ყველა სხვა ნივთიერებაზე მეტად არის ზომით. ნივთიერება იგი განსაკუთრებით უჯრედის გუნდშია ხოლმე და პროტოპლაზმი კი ორა.

ნუკლეინის შესანიშნავი თვისება ის არის, რომ როცა შედედდება, ძლიერ შეიღებება ხოლმე სხვადასხვა საღებავებში (კარმინი, ანილინის საღებავი, გემატოკისილინი). გუნდში ნუკლეინი იმყოფება ხან როგორც ხორხოშელას მზგავსი მარცვლები, ხან ძაფის მაგვარი ქსელებივით და სხვ.

გუნდის შინაგანი აგებულობა სხვადასხვა ნაირია. ერთი და იგივე უჯრედის გუნდში აგებულობა მუდამ ერთნაირი არა რჩება, არამედ ხშირად იცვ-

ლეი. მაგალითად ძლიერ დიდ ცელი-ლებას განიცდის გუნდი, როცა დედა-უჯრედის გაყოფის დროს თვით იყო-ფება ორ გუნდაკებათ.

რა ნაირად იცვლება ამ შემთხვევაში გუნდის შედგენილობა, ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

ვ. რცხილაძე

მიწის შემუშავება

მიწის შემუშავება

მიწის შემუშავებას ასეთივე ღრმა წარსული აქვს, როგორადაც თვით ადამიანს, ხოლო „მიწის შემუშავება“ როგორადაც მეცნიერებათა ერთი დარგი თითქმის ყველა სამეცნიერო დარგთა შორის უნიკალურია. ასე იმიტომ მოხდა, რომ „მიწის შემუშავება“ ცალკე განსაკუთრებულ მეცნიერებას არ წარმოადგენს, არამედ დამყარებულია იგი ბუნების მეტყველობის კანონებზე, რომელიც თვით არის ჯერ კიდევ ნორჩი.

„მიწის შემუშავებას“ საგნად მიწა და მცენარე აქვს. როგორც მიწა, ისეც მცენარე ძლიერ რთული საგნები არიან.

მიწა სხვადასხვა ნაირია და სხვადასხვა სახელებაც უწოდებენ; გარდა ამისა, ერთსა და იმავე მიწას სხვადასხვა ჰავაში სხვადასხვა თვისება აქვს. მიწის თვისებანი იცვლება სინესტისაგან და შემუშავებისაგან. მიწის თვისების შეცვლა შეიძლება სასუქის დაყრითაც, მხოლოდ ერთ მიწას რომ ერთი რომელიმე სასუქი რგებდეს, მეორეს ამ სასუქმა შეიძლება ძლიერ აწყინოს.

ამგვარად მიწას თვისებები შეიძლება შეუცვალოთ შემუშავებით, სასუქით და მორწყვით; ხოლო ამ თვისებების გონივრულად შეცვლას დაკვირვება და შესწავლა უნდა.

მეორე საგანი „მიწის შემუშავებისა“ მცენარეა. მცენარეებიც ითასნაირნი არიან. ერთ მცენარეს ერთგვარი მიწა

უყვარს, მეორეს — მეორე გვარი; ერთს სასუქი უყვარს, მეორე სრულებით სასუქს ვერ იტანს; ერთს ჩქარ-ჩქარა მორწყვა უყვარს, მეორე მორწყვას ჩქარ-ჩქარა ვერ იტანს; ერთ მცენარეს ერთი ჰავა უყვარს, მეორე სრულებით ვერ იტანს იმავე ჰავას. ყოველივე ამას დიდი დაკვირება სჭირდება და დაკვირებასთან შესაფერი სწავლაც უნდა.

როგორც ხედავთ, მეურნეს სწავლაც სჭირებია და დაკვირებაც; გარდა ამისა იგი უნდა გამჭრიახიც იყოს და შორს მჭვრეტელიც.

მორჩა, ჩაიარა იმ ღრომ, როცა მეურნე ზრუნავდა იმდენი ჭირნახული მოეყვანა მხოლოდ, რამდენიც საჭირო იყო მისთვის და მისი ოჯახისთვის. ეხლანდელი ეკონომიური მდგომარეობა მეურნესაგან ითხოვს ისეთი თვისების ჭირნახულს, როგორსაც ეხლანდელი ბაზარი მოითხოვს; გარდა ამისა, ჭირნახული უნდა იაფა ფასისა იყოს, რადგან ბაზარში ის იმარჯვებს, ვისაც კარგი და იაფ ფასიანი ჭირნახული მოაქვს.

მეურნეობა, როგორც ხედავთ, ადვილი საქმე არა ყოფილა. ის სწორედ ამიტომ იშვიათად ნახავთ არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ რუსეთში კარგად დაყენებულ მამულს. უწინდელ დროში, როცა რკინის გზები არ იყო, რომელიმე ადგილის ცოტა მოსავალიც რომ მოსულიყო, მეურნე თავისას იღებდა თითქმის. ეხლანდელი მეურნე



კი, როცა ცოტი მოუვა, თავის მოსავლის ფასს ისე მაღლა ვეღარ ასწევს, რომ თავისი უკლებლივ აიღოს, რადგან რკინის გზით შორეული ადგილიდანაც მოიტანენ პურს, ქერს და სხვას. რკინის გზა ათანასწორებს ფასებს ყოველ ნაწარმოებზე. ეხლა თითქმის ერთი და იგივე ფასები აქვს სხვადასხვა ადგილებში, საცა კი რკინის გზა ხვდება, ფქვილს, შაქარს, ჩაის, სანთელს, საპონს და სხვას. ერთი სიტყვით მეურნეობაზედაც დიდ გავლენას ახდენს რკინის გზა; მოვა დრო, როცა მთელი ქვეყანა ნაწილ-ნაწილად დაიყოფა: თითო ნაწილი ერთ რომელიმე ჭირნახულის მოყვანას დაადგება. მაგალითად გორის მაზრა ბალოსნობას დაიწყობს, რადგან აქ უკეთესი ვაშლი და მსხალი მოდის; კახეთი ყურძნის მოყვანას და ლვინის კეთებას; შავი ზღვის ნაპირებში იქნება ჩაის კულტურაშ მოიკიდოს ფეხი და სხვა.

ეხლანდელმა მეურნემ ნაწარმოების გამრავლებასთან გაყიდვაც უნდა ისწავლოს, ბაზრის მოპოება, თორებ მეტი წილი მისი ნაწარმოებისა როგორც ეხლა რჩება ჩარჩს, მაგალითად გორის მაზრაში ხილის ვაჭრობაში, ისე შეძლევში დარჩება. საკვირველია, რომ ჩვენში მეურნეობის შესწავლას ყურადღებას არ ვაქცევთ, რომ მდიდარი ბუნება ჩვენი ქვეყნისა სრულებით გამოუკვლეველია. ჩვენ გარშემო ბუნება სავსეა სიმდიდრით და ჩვენ კი სული იმოგვდის სილარიბით. ეს იმიტომ ხდება, რომ მეურნეობას ხელს არავინ ჰკიდებს. უკეთეს შვილს დედ-მამა ჩინოვნიკად ამზადებს და მამულს კი უხეიროს უგდებს ხელში, რადგან მამულის მოვლა და მეურნეობა უფრო ადვილ საქმედ მიაჩიათ, ვიდრე ჩინოვნიკობა.

ჩვენი სამშობლო სამეურნეო ქვეყნაა, მაგრამ მეურნეობის შესწავლაზე და სამეურნეო სწავლის გავრცელებაზე კი არვინ ფიქრობს ჩვენში.

გორი, თელავი, სიღნალი, ახალციხე, ღუშეთი—სულ კლასიკურ გიმნაზიებზე ფიქრობენ; არც ერთ ქალაქს, გარდა ოზურგეთისა, ისიც მზრუნველმა ჩაგონა, არ უფიქრია პროფესიონალურ სკოლის დაარსებაზე. დროა ყურადღება მივაქციოთ სამეურნეო სწავლის შეძენას და გავრცელებას ჩვენს ხალხში.

მიწის შემუშავების მოქლე ისტორია

მიწის შემუშავება, როგორც ზევითაც ვსთვეოთ, დიდი ხანია დაიწყო; ხოლო როგორც მეცნიერება, „მიწის შემუშავება“ ძლიერ რთულ საგნებს წხება, დიდი ხანი არ არის მაგრე რიგად რაც არსებობს და ამიტომ ჯერ კიდევ ბევრი საგანი აქვს გამოუკვლეველი. მეცნიერებმა მხოლოდ მეათე საუკუნეში მიაქციოს ამ საგანს თავიანთი ყურადღება, მაგრამ მეთვრამეტე საუკუნემდე მაინც არც თეორიული და არც პრაქტიკული სწავლა არა დამყარებულა-რა. ერთი მეცნიერი ამტკიცებდა მაგალითად რომ მცენარეებთა ერთად-ერთი საკვებავი—წყალია; მეორე—მცენარეს საკვებავად მარტო მიწასა სთვლიდა.

მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში შევედელმა მეცნიერმა ვალერიუსმა წარმოსთქმა ის აზრი, რომ მცენარე როგორც ორგანიული არსება, დამოკიდებულია სითბოზე და ზეადაგის სინესტეზე. მცენარე, ამტკიცებდა ვალერიუსი, თავის ყოველ საკვებავ ნივთიერებას იმ ადგილიდან იღებს, რომელზედაც იზრდება.

შემდეგ გამოჩენილმა აგრძონომმა ალბრეხტ ტეერმა წარმოსთქვა ახალი აზრი მცენარეთა კვების შესახებ. მცენარე იკვებება გუმუსითო, *) ამბობდა ტეერი. ამიტომ, ვისაც ჰსურს მოსავალი ბლომად მიიღოს, ზეადაგს გუმუსი უკან უნდა დაუბრუნოს. ტეერი ამტკიცებდა, რომ მოსავლის რაოდნობასა და გუმუსის შორის განსაზღვრული დამოკიდებულება არსებობს. იგი რიცხვებით ნიშნავდა — რამდენ ფუთ გუმუსს რამდენი ფუთი მოსავლის მომატება შეეძლო ანუ რამდენი მოსავალი რამდენ ფუთ გუმუსს აკლებდა ზეადაგს. ერთი სიტყვით, ტეერი ამტკიცებდა, რომ ზეადაგს იმდენივე სინოყივრე უნდა დაუბრუნოთ ხოლმე უკან, რამდენიც ყოველი მოსავლით აკლებდა მას, თუ გვინდა რომ ზეადაგს ძალა უკლებლივ ჰქონდეს.

*) „გუმუსის“ მაგივრად ხან „შავ მ.წას“ ხმა რობენ, ხან „ნეშომპალს“, ხან სხვას, მაგრამ არც ერთი ამ სახელთაგანი არ ნიშნავს იმას, რასაც გუმუსი ქვიან. გუმუსი ზეადაგის ძლიერ რთული ნაწილია. ფერით გუმუსი რაც უფრო ახალია, იმდენად უფრო შავია. გუმუსით გაშავებულ ზეადაგს შავ მიწას ეძახიან. მიკროსკოპით რომ გავსინჯოთ გუმუსი, თითქო ძაფმაგვარი ქსელებისაგან შესდგება. ხან კი ეს ძაფები ალარ ეტყობა, გამიწებულია. შესდგება გუმუსი ყველა იმ ორგანიული ნივთიერებების ერთი ერთმანეთთან შედუღებ-შეკორწიებით, რომელიც მიწას ჩაჰყებიან. ცხოველთა ლეში, მცენარეთა ნაწილები, ჭიამატლი, ფეხზე მავალი და მცურავი, ყველა ნაირი მწერი, ხის ფოთლები, ტოტები, ბალახი ყველა ნაირი, წაცული მცენარეთა ფეხები, ჩახოცილი მიწაში თაგვი, კალია, ჭია და ყველა სხვა წვრილი და მსხვილი სულდგმულთ სხეული, როცა იწყობენ მიწაში დაშლას, ერთად შედუღებიან-შეკორწიებიან, ეგრედ წოდებული გუმუსი გაკეთდება ხოლმე.

რედ.

ეს სწავლა დღეგრძელი არ გამოდგა მეცნიერებმა დამტკიცეს, რომ მცენარეს შეუძლიან იხარის კიდეც და მოსავალიც კარგი მოიყვანოს უგუმუსოთაც. მცენარეთათვის, ამტკიცებდნენ მეცნიერნი, საჭიროა მინერალური ნივთიერებანიო. ამ ახალი თეორიის მოთავე იყო მეცნიერი ლიბიხი.

ლიბიხი ამტკიცებდა, რომ ყველა მცენარე იღებს ზეადაგიდან მინერალურ ნივთიერებებს. ამისი დამტკიცება ადვილია: დასწვით მცენარე და მიიღებთ მინერალურ ნივთიერებას — ნაცარს. ყოველი მოსავლის იღებით ზეადაგს აკლებდა იმდენი მინერალური ნივთიერება, რამდენიც მოსავლით მიღებულ ნივთიერებათა ნაცარშია და მაშასადამე, რამდენჯერაც მეტ მოსავალს მივიღებთ, იმდენჯერ მეტად ვალარიბებთ ზეადაგს. თუ რომ გვსურს ზეადაგი არ გაღარიბდეს, უნდა უკან დაუბრუნოთ მისგან მიღებული მინერალური ნივთიერებანიო.

როგორც ტეერი, ისე ლიბიხი ამტკიცებდნენ რომ ზეადაგს არ შეუძლიან მუდმივ მოსავლის მოცემა, თუ უკან არ დაუბრუნდა მას ის საკვები ნივთიერებანი, რომელსაც მცენარე ზეადაგიდან იღებს. ტეერი მცენარეთა საკვებავ ნივთიერებად სთვლიდა გუმუსს, ლიბიხი კი მინერალურ ნივთიერებას.

ლიბიხს და მის მომზრებს სჯეროდათ, რომ საკმარისია შევიტყოთ — რა ნივთიერებებისაგან შესდგებიან მცენარე და ზენიალაგი და ამის შემდეგ აღვილი იქნება გავიგოთ — რა ნივთიერებანი სჭირდება ამ მცენარეს: რომელი ნივთიერებაც მეტია, ის უფრო ძლიერ საჭიროა — ამტკიცებდნენ ლიბიხის მომხრენი. თუ ეს მინერალური ნივთიერე-



ბა არ არის ზეადაგში, იგი უნდა დაეყაროს.

ზეადაგის და მცენარეების ქიმიურმა ანალიზმა დიდი ყურადღება მიიქცია. მცენიერებს სჯეროდათ, რომ ქიმიური ანალიზით ზეადაგის შედგენილობის ნამდვილი სურათი დაიხატებოდა, მაგრამ იმედი მაღლ გაუცრუვდათ. თვით ქიმიური ანალიზი იმდენად სრული არ გამოდგა, რომ მას იმედი გაემართლებინოს. მაგალითად: აიღო ზეადაგის მიწა და შეინახეთ პირმოკრულ ქილაში; ოცი წლის შემდეგ იმ ადგილიდანვე კიდევ რომ აიღოთ მიწა ხელმეორედ და ქიმიური ანალიზი გაუკეთოთ, დიდ განსხვაების ვერ ნახავთ ახლად აღებულ მიწასა და ქილაში შენახულ მიწის შო-

რის, თუმცა ეს მეორე მიწა ხელუხლებლად ინახებოდა და პირველზე კი ოცი წლის განმავლობაში მცენარენი იჩრდებოდნენ და მიწიდან მინერალურ ნივთიერებას იღებდნენ.

ერთ დროს მინერალურ სასუქს დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ, ეხლა კი ლიბისის სწავლას მინერალურ სასუქების მნიშვნელობის შესახებ თითქო დავიწყების ხახსი მოვკიდა.

სამოც და ათ წლებში პროფ. გრანდომ შექმნა ნომი-მინერალური თეორია, რომელიც ამტკიცებდა, რომ მცენარეთა საკვები ნივთიერება გუმუსია შეერთებული მინერალურ სასუქთან ერთად. ეს თეორიაც ხანგრძლივი არ გამოდგა.

მ. ზაალიშვილი.

მეცნიერთა საყურადღებოდ

ფრილი იმართილებან

ნათქვამია „ზოგი ჭირი მარგებელია.“ ეს თქმა სწორედ გამართლდა ჩვენში ფილოქსერის გაჩენის შემდეგ. სანამ ფილოქსერა გაჩნდებოდა, ჩვენი მცენარეობა მასხრული იყო: გაავლებდნენ კავით კვალს, მიაწვენდნენ შიგ ერთიერთმანეთზე ვაზის რქებს, მიაყრიდნენ მიწას და მოსტკეპნიდნენ, ასე რომ რქა მხოლოდ $1\frac{1}{2}$ —2 გოჯის სიღრმეზე იმალებოდა მიწაში. გოლვა რომ დადგებოდა, ან მთლად ერთიანად ამოხმებოდა ხოლმე, ან და რომელიც იხარებდა ისიც ძლიერ სუსტ ნაყარს გაიკეთებდა.

ამ რიგათ გაშენებული ვაზი თითქმის სამი წლის განმავლობაში თავის აღგილზე ისხვლებოდა ერთ-ორ კვირტზე და შემდეგ შეუდგებოდნენ მის გადაწვენას, როგორც მოუხდებოდათ

და არა რეგზე მწკრივად. ესე ჩაყრილი ვაზი მხოლოდ მე 7—8 წელიწადს იძლეოდა ნაყოფს.

ფილოქსერის გაჩენამ თავზარი დასცა მევენახეობას ჩვენში, ძირიანად შესცვალა იგი და თითქმის სასურველ ნიადაგზე დააყენა. გაჩნდა პლანტაცია (მიწის ორპირაო დაბარვა) ანუ ორპირი; ვაზი დააყენეს რიგზე, რამაც ბევრათ გაადვილა ვენახის შემუშავება. ორ პირად დაბარულ მიწაში ჩაყრილმა ვაზმა მეორე-მესამე წელს გამოიტანა ნაყოფი და მეოთხე-მეხუთე წელს გამოიტანა ნაყული მოსავალი მოგვცა. ასეთი შედეგით გახარებულმა ხალხმა მიჰყო ხელი განადგურებულ ვეგნახების განახლებას და სულ მცირედ ხანში ისევ ისე ძყვავდა უმეტესი ნაწილი ამოგდებული ვენახებისა, როგორც წინედ ყვაოდა.

ვაზის გაშენება და მოვლა გაროულდა, გაძნელდა და დიდ ხარჯსაც ითხოვს, მაგრამ ეხლა ყველა, მდიდარია თუ ღარიბი, მიწას ორპირად აბრუნებს და რგავენ ზოგი დამყნილ ვაზს და ზოგი კი ისევ ადგილობრივ ფილოქსერის ამტიან ჯიშების ჩერებს (ციცქა, ღონდლლაბი, შავი კუნძა, კუნძა საფერავი და სხ.). ვინც ამოდენა შრომასა და ხარჯს ეწევა, რამოდენსაც მიწის ორპირად გადაბრუნება გამოიწვევს, ბარემ რომ ცოტაც დაუმატოს და დამყნილი ვაზი ჩაყაროს, ბევრად ემჯობინება. მართალია ყველა ზემოდ აღნიშნული ადგილობრივი ჯიშები უძლებენ ფილოქსერას 5—10 წელიწადი, მაგრამ ვაზი ამ შემთხვევაში დიდ მოვლასა და პატივს თხოულობს და მასთან ფესვები რომ გაუშინჯოთ გამადიდებელი შუშით (მიკროსკოპით) შეამჩნევთ, რომ მას როგორც მტვერი ისე აყრია ფილოქსერა. მიუხედავად ამისა ესთი ვენახი რომ წელიწადში ორჯერ ღრმათ გაითოხნოს და ორჯერ-სამჯერ გარხონოს, ბალახი არ გაიშვას ვაზებში, საკმარისი პატივი დაეყაროს ყოველ ორ-სამ წელიწადში, ღრმაზე ეწამლოს სხვადასხვა ავაღმყოფობის (ჭრაქის, ნაცრის, ანტრაკნოზის და სხვ.) წინაღმდეგ, საკმარის ნაყოფს მოიცემა, კარგი ღირსების ღვინოსაც დააყენებს და რქისაც გაიზრდის, ასე რომ გადასაწვენი რქები ყოველთვის მოიძებნება. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს ვაზების განახლების გადაწვენით. ყოველ ჩვენ ვენახს სანაპიროები აქვს და ყოველ წლივ ეს ნაპირები ახალ შენდება. გადაწვენით გაახალ შენებულ 2—3 წლის ვაზს რქებიც კარგი აქვს და ბლომათაც ისხავს, მაგრამ ვენახს შიგნით და შიგნით კი ხანში შესული

6—7 წლის ვაზები უკვე დასუსტებულან, ცოტა ასხიათ და რაც გამოუბავთ, ისიც წვრილ მარცვლოვანია. ხოლო ვერც ეს გარემოება აშინებს ჩვენს ძველს მევენახებს: ვენახის სანაპირო რომ გაიჭედება ვაზებით, შემდეგ შიგნით სპობენ სუსტ ვზაებს ნორჩი ვაზების ნაპირიდგან შიგნით გადაწვენით და არიან ჩვენი მევენახები აჩვერ გაუთავებელ შრომასა და ტანჯვაში.

ღროვა მიებაძოთ კარგ მაგალითს და შეუდგეთ ვენახების ამერიკულ ვაზზე დამყნილ ვაზებით გაშენებას. მხოლოდ სიფრთხილითა და დაკვირვებით კი უნდა მოვიქცეთ, რომაც შევცდეთ, რადგან ამ საქმეში ერთხელ დაშვებული შეცდომის გასწორება შემდეგში თითქმის შეუძლებელია ხოლმე. ჩვენებური ჯიშის ვაზი სადაც უნდა ჩაგვეყარა—ქვიანში, გინდ სრულიად უვარგის მიწაში, მანც ხარობდა და მისი ნაყოფი საუცხოვო ღვინოსაც იძლეოდა. სულ სხვა გამოდგა ამერიკული ვაზი: ყოველი ჯიშითავის შესაფერ ნიადაგს, თავის შესაფერ დასამყნობ ჯიშს, თავის შესაფერ მოვლა-მუშაობას თხოულობს.

მე არ მინდა შევბლავლო სახელი ვ. სტაროსელსკისა, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძლვის ჩვენი ვენახების განხლებაში, მაგრამ არ შემიძლიან დავთარო, რომ მან გაავრცელა ყველგან, როგორც ზემო იმერეთში, ისე ქვემო იმერეთში და გურია-სამეგრელოში უმთავრესად მხოლოდ ორი ჯიში ამერიკული ვაზებისა: რუპესტრისი და რიპარია, რომელთაც, როგორც ვიცით, საფრანგეთში ამ ბოლო ხანებში იშვიათად ხმარობენ. სწორეთ ეს არის მიზეზი რომ ჩვენში, უმეტესად ქვემო ვა-

კი იმერეთში და ალაგ-ალაგ გურია-სამეგრელოში დამყნილი ვაზებით გა-შენებული ვენახები ამ ბოლო დროს ძლიერ დასუსტდნენ და ბევრი მათგა-ნი სრულიად გადახმა კიდევაც.

ვაკე იმერეთის ლრმა, ნოყიერ, სი-ლანარევ შიწებში რიპარიას და რუ-ჰესტრის ალაგი არ უნდა ქონდეთ, მაგრამ მიუხედავად ამისა იქ დღესაც რგავენ ამ ჯიშებზე დამყნილ ვაზებს, რასაც უეჭველია ცუდი ბოლო მო-ლის. ერთი რომ ამგარ მიწაში სინე-სტე ბლომად არის ხოლმე და რუჰეს-ტრისი „ფესვების სიდამპლით“ ხდება ავად, რაც ფილოქსერაზე უარესია, და მეორე—რუჰესტრისზე დამყნილი ვაზი ლრმა, ნოყიერ, სილანარევ მიწაში დარგული ცარიელ ყლორტად იქცევა ხოლმე, ცოტასაც ისხავს, ღვინოსაც ცუდი ღირსებისას იყენებს და რქაც შემოუსვლელი რჩება.

აგრძელებული მიერეთის თიხარ ფერ-დობებზე რიპარიას არ უნდა ჰქონდეს აღვილი. კირნარევი მიწები ხომ არც რუჰესტრისათვის ვარგა და არც რიპა-რიასათვის. კირნარზი ამ ჯიშებს, **ხლო-როზი** „უჩნდებათ, რის გამო სუსტდე-ბიან და ხმებიან კიდევაც.

ასეთმა შედეგმა ბევრგან იჩინა აქ-თავი და დაბადა ხალხში იჭვი, რის გამო დღესაც ბევრნი არიან წინააღ-მდეგნი დამყნილი ვაზების გაშენებისა.

რომ იჭვიც მოისპოს და შეცდო-მაც თავიდამ ავიცილოთ, საჭიროა გა-მოვიკვლიოთ, დამყნილი ვაზის გასა-შენებლად როგორი უნდა იყოს მი-წის **ზეადაგი** და **ნიადაგი**. მათი შედ-გენილობა ზედმიწევნით გაიგება ხოლ-მე ქიმიური ანალიზით, ხოლო გამოც-დილი კაცი თვალდათვალაც შეატყობი-დაახლოებით. როცა ნიადაგი და ზეადა-

გი გამოკვლეული გვექნება, შემდევ შე-გვიძლიან ავარჩიოთ საძირე ვაზებათ ერთი ან ორი ჯიში ვაზი, რომელთაც კარგი აღაპტაცია ექნებათ ამ ნიადაგ-თან. მიწა უნდა შემოდგომაზე გადაბ-რუნდეს; თუ იგი ნესტიანია ძალიან, უნდა უეჭველად გამოშრეს; თუ ქვეი-თა პირი ცუდი ლირსებისა აქვს (მწვა-ნე თიხაა, კირი და სხვ.), ზევით არ უნდა ამოიყაროს, არამედ იქვე უნდა გაფხვიერდეს და დარჩეს. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომელ ამერიკულ ვაზზე, რომელი ჯიში უნდა იქმნეს და-მყნილი, რომ კარგად შედულდეს და შეე-თვისოს მას. ამას ვაზის გამძლეობაზე და სხმოიარგბაზე დიდი გავლენა აქვს. სადაც ვაზაფხულზე ყინვები იცის, იქ საჭიროა სიცივის ამტანი ჯიში დაიმ-ყნოს, რომელიც გვიან იღვიძებს გა-ზაფხულზე. დასარგავი ნამყენი უნდა კარგა იყოს შედულებული, ფესვებიც კარგი უნდა ქონდეს. ვაზი უნდა ჩიი-ყაროს ან შემოდგომაზე, სანამ ნიადა-გი გაცივდება, ან და გაზაფხულზე, როცა ნიადაგი გათბება. ვაზების სი-შორე ერთიერთმანეთიდან აღვილობ-რივ პირობებზეა დამოკიდებული.

გარდა ზემოთ ნათქვამისა კიდევ ბე-ვრი დაკვირვება და გამოცდილებაა სა-ჭირო, რომ ყოველი შეცდომა თავი-დან ავიცილოთ. მაგალითად უნდა ვი-ცოდეთ, რომელ საძირე ვაზს რომელი ჯიში ჩვენებური ვაზისა მასზე დამყნი-ლი როგორ შეეხორცება; აგრძელება, რომელი ჯიში ჩვენებური ვაზისა რო-მელ საძირე ვაზზე როგორ ზრდასა და ნაყოფი ყოველ ცალკე შემთხვევაში რო-გორ ღვინოს დააყენებს. ამნაირი გა-მოკვლევებით და გამოცდილებით იმის გარდა რომ კარგ ვენახებს შევქმნით,

იუნიტი სასუქი სასუქი სესიუნის

ბევრს რამე ახალსაც შევძენთ ჩვენს მევენახეობას, როთაც შევუწყობთ ხელს ვენახების აღორძინებას. ხოლო ყოველი ეს ჩვენსა და ჩვენ მეტობლების საკუთარ გამოცდილებაზეა დამოკიდებული.

ამიტომ ვეღირსეთ რა სამშობლო ენაზე ამ საჭიროებისათვის შესაფერი სამეურნეო „ორგანოს“ გამოცემას, ხელი შეუწყოთ მის არსებო-

ბას, რომ მის საშუალებით გაუზიაროთ ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი საკუთარი გამოცდილება, როგორც შედეგი ჩვენი საკუთარი შრომისა და გამოკვლევებისა; გაუსწოროთ ხოლმე ერთმანეთს შეცდომები, მოსაწონი მოვიწონოთ და მით „მოსავლის“ მკითხველიც დავაკმაყოფილოთ და ჩვენც ვისარგებლოთ.

დ. მდივანი.

გუნდგრივი სასუქი ხეხილებისათვის

კომპოსტი

დაბერებულ, დაჯანდაგებულ ხეხილებისათვის ყველაზე კარგს სასუქად ეგრედ წოდებული კომპოსტი ითვლება.

ეს სასუქი წარმოადგენს არღულს ერთად ქუჩების მონაგავს მტკვერსა და ტალასს, ნაგვის ყუთებიდან ამოღებულ ნაგავს, გამარგვლაში ამოყრილ ბალასს, ხეებიდან ჩამოცვივნილ ფოთლებს, ჩალა-ბულას, ნახერსს, ბურბუშელას, ნაცარს, ლეშს, სისხლს და სხვ...

ესეთ გროვას ნესტიც უნდა ქონდეს ულევად და ჰაერიც უნდა ადვილად მოქმედებდეს გროვაზე შიგნიდამ და გარედამ. ამისათვის, თუ ისეთმა ნივთიერებებმა მოიყარეს თავი, რომელიც ადვილად იძეკებიან, უნდა გროვას ნამჯა, ბურბუშელა და სხვა მათ მაგვარი მასალა მიუმატოთ, რომ გროვა არ დაიძეკოს, მასთან უნდა ზემოდან ბნელი ოქრო, ან ნეშომპალი, ან ნარეცხი, ან და, თუ ესეც არ არის, უბრალო წყალი მაინც დავასხათ.

თუ ნამჯა არ არის, გროვას შეიძლება ფიჩის ნამტკრევები, წალამი, სიმინდის ან ზეუკვრიტეს ჩეჩენი და სხვა ესეთი რამ მიუმატოთ.

ხშირად კომპოსტის გროვას ხის გამხმარი ფოთლებიდან, ჩეჩენიდან და სხვა ფუყიანი ნივთიერებებიდგან შეადგენენ ხოლმე, მაგრამ არ უვლიან, წყალს არ ასხმენ, ვროვა ამოშრება ხოლმე, მეტადრე თუ წვიმის წყალმაც ვერ ჩაატანა შიგ, და მთელი ორი და მეტი წელიწადი გროვა დაუშლელი, დაულპობელი რჩება, სასუქად არა მწიფდება და სინოყივრეს კი ბლომათ კარგავს ამ დიდი ხნის განმავლობაში.

ამ გვარ გროვას უსათუოდ წყლის დასხმა უნდა დროვამოშვებით, რომ მაღლე დაიდულოს და სასუქად გარდაკეთდეს.

კარგია დაესხას ხოლმე ზედ სისხლი დაკლული საქონლისა, შარდი, ნარეცხი წყალი და დაეყაროს ნანგრევი ქვრიკირის კირი, კარის ქვა, კირნარევ ქვიშარი შიწა და სხვ...

რომ გროვა მუდამ ნესტიანი იყოს და მაღლე არ ამოშრეს, უნდა საღმე ჩრდილში, ხეების ქვეშ იყოს აქუჩებული.

მასთან რომ კომპოსტის წვენი მიწაში არ გავვეპაროს, გროვას თიხა მიწაზე აქუჩებენ ამნაირად: მოსთხრიან ორმოს 4—6 ვერშოკის სილრმეზე, სი-



განით არა ნაკლებ 2 არშინისა და ჯერ ამ ორმოში 2—4 ვერშოკის სისქეზე ჩაყრიან ისევ უბრალო მიწას და მერე ზემოდან დაგროვებენ იმ ნივთიერებებს, რომელიც საკომპოსტოთ ვარგანან, ისე კი რომ გროვა სიმაღლით იყოს არა ნაკლებ ორი არშინისა, სიგანე ქონდეს 3—4 არშინი და სიგდე რამდენიც გამოვა.

კომპოსტის გროვა ერთხელ—ორჯელ უნდა გადაიბაროს წელიწადში, რომ კარგა დაიდულოს. 2—3 წლის განმავლობაში კომპოსტი მშიფრება და შემდეგ შეხმარდება როგორც სასუქი.

ყურადღება უნდა მიაქციოთ, რომ გროვაში ერთად არ მოჰყვნენ ძნელად დასაშლელი ნივთიერებანი, როგორიც მაგალითად არიან ბურბუშელა, ძვლები, ისეთ ნივთიერებებთან, რომელიც ადგილად და მალე იშლებიან და ლპებიან.

დამშიფრებული კომპოსტი როგორც სასუქი ძლიერ მალე მოქმედობს ხეხილებზე, ხოლო ორი წლის იქით ძალა აკლდება და ეს ზედმოქმედებაც შესამჩნევად მცირდება.

კომპოსტი სინკუიზრის მისაცემად ზოგჯერ ხელოვნურ სასუქებთან შეაზავებენ ხოლმე, ხოლო შესაზავებლად უნდა ვიხმაროთ იაფი და ძნელად დასაშლელი ხელოვნური სასუქი, როგორც მაგალითად ძვლის ფქვილია, თორემ ისეთ ხელოვნურ სასუქის შეზავებას კომპოსტთან, როგორიც სუპერფოსფატია, მაგალითად, აზრი არა აქვს, რადგან ეს უკანასკნელი უკომპოსტოთაც მშვენივრად მოქმედობს ხეხილებზე და ტყუილად დავხაფრამ კომპოსტის გროვაში 2—3 წელიწადი.

როდესაც საკომპოსტე ნივთიერებები არა გვაქვს, კომპოსტის მომზადება მიწის ბელტებიდგანაც შევვიდლიან.

უნდა ეს ბელტები ჭყანტი ადგილებში, სადაც ჩალა და სხვა დიდობრი ბალახი იზრდება, ამოიჭრას $1\frac{1}{2}$ —3 ვერშოკის სისქისა და ასე ავაგროვოთ: ჯერ ბელტი, მერე ზედ საქონლის ნეხვი, შემდეგ ბელტი, მერე ნეხვი და ასე, ვიდრე გროვა ზემოთ მოყვანილი სისქე-სიმაღლისა გახდება. ორ წლის განმავლობაში ესეთი გროვა მშვენიერ სასუქად იქცევა, ნაზეტნავად დაბერებულ დაჯანდაგებულ ხეხილებისათვის.

ტორფი

როგორც სასუქი ტორფი კარგად მოქმედობს ხეხილებზე ჯერ მათ ფესვების გაზრდა-გამრავლებაზე და შემდეგ მთელი მცენარის განვითარებაზედაც.

ესეთი ზედმოქმედება ტორფისა სხვა თვისებების გარდა იმითიც აიხსნება, რომ ტორფი კარგა ინახავს ნიადაგში სინესტეს. ამიტომ სუბუქ, ფხვიერ ნიადაგისათვის ტორფი, როგორც სასუქი, ბევრნაირად სასარგებლო სახმარებელია. უნდა ასე ვიფიქროთ, რომ იკი ცივ, ვატინიანებულ ნიადაგებშიაც დიდ სარგებლობას მოიტანს. თუ ტორფს ნეშომპალითა და ან საქონლის შარდით შეავაზავებთ, მაშინ ხომ ზედ მოქმედება მისი ხეხილებზედ ერთიორათ იმატებს.

მოზრდილ ხეს 15—20 გირ. ტორფი ყოფნის სასუქად. თუ ტორფი გამიწებულია, თოთო ძირ ხეხილს ცოტა მეტი დასჭირდება.

3. შ.— ელი

ვაზის ფოთლის მხეველი ჭია ქახეთში

ამ უკანასკნელ წლებში კახეთში, მეტადრე სიღნაღის მაზრაში, გამრავ-ლდა ერთგვარი ჭია, რომელიც დიდ ზარალს აძლევს ვენახებს. სოფლებში ამ ჭიას „ვაზის ჭიას“ ეძახიან. გრაფ. შერემეტივის მამულში, კარდანახში ამ ჭიანან მარცვლებს ყურძნისას აგროვებენ და ცხელ წყლები ხოცავენ, როთაც ამ ჭიათ გამოწვეული ზარალი ძლიერ შეიძირება.

გლეხობამაც მიბაძა მათ, მაგრამ გა-შვებარი არა ვარგა რა. ჭიან მარცვლებს გზებზე და ღობე-ყორებზე და-უწყეს ყრა და მარცვლებიდან გამო-სული ჭია ისევ შეუფრინდებათ ხოლ-მე ვენახებში იქვე მარჯვედ.

პეპელა ზამთარ გამოვლილ პარკე-ბიდან გამოდის აპრილის პირველ რი-ცხებში და შემოდგომის გასვლამდე სამ თაობას იძლევა.

ვენახებში პეპელა დაფრინავს 3—3^{1/2} კვირა. აპრილის გასულს პეპელა იკარ-გება, კვდება. პეპელა ძალიან პატარაა და ძნელი სანახავი. დღისით დამალუ-ლია ფოთლებ ქვეშ, დაფრინავს უფ-რო მზის გადახრიდამ და დილით აღრე; ძლიერ ფრთხალია, ხმაურობაზე ფრი-ნავს აჩქარებით და მიხვეულ-მოხვეუ-ლად, სველს და გრილს აღგილებს ერიდება.

პეპელა სიგძეზე 6 მილიმეტრამდე იქნება, მუქი რუხვი ფერი აქვს; ფრთები ორი წყვილი, წინა წყვილი ფრთები მოწითალო, ამ წინა ფრთებზე გარ-დიგარდოდ თრ-ორი წითელი ხაზი აქვს გავლებული.

მუცელი აქვს მუქი რუხვი. ფერის; ფეხები დედალ პეპელებს სრულიად სუ-

ფთა და მამლებს—ბუსუსებიანი სამ-სა-მი წყვილი, მოკლეები და თეთრი ფე-რისა.

როდესაც პეპელა ზის, ფრთები ორ მხრიან ჭერის სახურავის მხგავსათ აქვს შეკეცილი.

პარკიდგან გამოსვლის ორი-სამი დღის შემდეგ დედალი პეპელები განო-ზივრებული მამლებით სდებენ 40—50 კვერცხ ვაზის ყვავილის გაუშლელ კოკრებზე, იშვიათად ყლორტებსა და ფოთლებზე. კვერცხი წარმოადგენს თეთრ მოლაპლაპე წერტილს, მიწე-ბებულს აღგილზე გაპრტყელებული მხრით და რგვლათ ამობერილს ზე-ვითა მხრიდამ. კვერცხს გარშემო აკ-რავს ლორწოიანი გარსი, რომელიც პარკზე მალე ხედა და მიეწებება რა-ზედაც დევს. ეს კვერცხები უბრალო თვალითაც კარგათ ჩანს. პეპელები კვერ-ცხის დებაში 6—7 დღე არიან, შემდეგ სცხოვრობენ კიდევ ორ კვირამდე და-იხოცებიან. დადებული კვერცხებიდან 5—6 დღის შემდეგ გამოდიან პატარ-პატარა მატლები პირველი თაობისა, რომელიც სკამენ ვაზის დაყვარლე-ბულ კოკრებს. ეს მატლები სიპატა-რავით ძნელი შესამჩნევია; თეთრი ფე-რისაა, თავი შავი აქვს; როცა პირველიდ-ეცვლის კანს, ნათელი მოყვითალო ფე-რისა ხდება და თავიც უწითლდება. სრულიად გაზრდილი ჭია კი მუქი მწვა-ნე ფერისაა და ზურგზე ანამყოლი მო-წითალო; რვა წყვილი ფეხი აქვს, ამათ-ში წინა სამი წყვილი ნამდვილი ფე-ხები და უკანა ხუთი წყვილი დაუს-რულებული ანუ ცრუ ფეხები. ტანი ჭიას თორმეტ რგოლიანი აქვს. ჭიები-

ძალიან ცოცხლები არიან, ხელს რომ ახლებთ ფორთხალობენ და ცდოლოენ დაიმალნენ. პირველი თაობა ხვრეტავს ვაზის ყვავილის კოკორს, სჭამს კანს და ძვრება შიგ კოკორში და ხრავს. კოკორს რომ გაათავებს, პირიდგან გამოშვებულ ძაფის მზგავსი ქსელით მიიჩიდავს მეორე კოკორს და ისევ ისე შეეცცევა. ამგვარად 3—4 კოკრამდე აფუჭებს, სანამ მეორეთ გამოიცვლის კანს და ცოტათი მოიზრდება. შემდეგ გადადის კოკრის ყუნწევე, იკეთებს თეთრი ქსელებისაგან ბუდეს, სადაც იმალება და განაგრძობს კოკრების ჭამას. ჭია თავის სიცოცხლეში, რომელიც გასტანს 3—4 კვირა, რამდენჯერმე იცვლის კანს; სრულიად გაზრდილი 10—12 მილიმეტ-

რია ხოლმე. ზრდა-დამთავრებულობა ჭია იკეთებს ჭუპრს და იმალება შიგ, როგორც აბრეშუმის ჭია თავის პარკში. ამ პარკსა და ჭუპრს შორის ის განსხვავებაა, რომ აბრეშუმის ჭია თავის პარკს აბრეშუმის ძაფებისაგან იკეთებს და ჭუპრი კი კეთდება ერთი მთლიანი, უძაფო, სქელი, მოყვითალო გარსიდება. ამ ჭუპრებიდგან 8—10 დღის შემდეგ გამოდიან მეორე თაობის პეპლები, ეს მეორე თაობა ჩნდება კახეთში დაახლოებით მაისის გასვლიდან თბათვის 4—6-მდე. ჭუპრებს ჭიები იკეთებენ მტევნის კუნწულებზედ და კუპხლებ შორის. გარდა ამისა ვაზის ფოთოლს უხვევენ ნაპირებს და შიგ იკეთებენ ბუდეს.

6. მაკარაშვილი

როგორ უნდა გაშრეს იონჭა, სამურა და სხვა მათი მშენელი ჭალახი, რომ თივა ნოემბერი გამოვიდეს

უწინარეს ყოვლისა უნდა ვიცოდეთ, რომ ბალასს სინოვივრე ფოთოლში და ყვავილში აქვს მოგროვილი. თუ იონჯას, სამყურა ბალასს და სხვ., რომელთაც თავთავი არა აქვთ, არამედ ცერცვისაებრ ნაყოფი გამოაქვთ, ძრიელ გავხმობთ, ყვაველი და ფოთოლი აღებ-დაღებაში გასცვივათ და ცარიელი უნივივრო კლერტი დარჩება. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამგვარ ბალახების გაშრობას. როცა სამყურა ბალასს ან იონჯას გასთიბავთ ჯერ უნდა 2—3დღე ხელუხლებად ეწყოს ისე, როგორც თავისთავით დაეწყო ცელით გათიბული. შერე როცა ცოტათი შეჭენება, ფრთხილად უნდა შეგროვდეს და შეიკრას პატარ-პატარა კონებათ ისე, რომ ყვავილები ცალ მხარეზე, ჰევით იყოს და ღეროები ქვევით. მასთან ულო უნდა

თავებთან ახლო მოეჭიროს, რომ შეკრულს კონას ძირი უფრო განიერი ქონდეს, რათა თითოეული ღერო გეზათ იყოს ქვეით დაქანებული. კონები უნდა დაიდგას ცალკ-ცალკე, თავებით ზევით, რადგან ასე ჰაერიც თავისუფლათ შეატანს და გამოაშრობს კონას და წვიმის წყალიც აღვილათ ჩამოიწყრიტება ძირს.

ამ კონებს მალიმალ უნდა დახედვა, რომ თუ ქარჩა წააქცია, ააყენოთ. გარდა ამისა კონებს უნდა ადგილი უცვალოთ ხოლმე, გადაიდგას-გადმოიდგას, როგორც ძნა, როცა წვიმისაგან დასველებულს ვაშრობთ მზეზე, რომ არ ჩახურდეს. დაბოლოს, როცა ბალახი საკმაოდ გაშრება, უნდა კონები წააქციოთ და ძირები იქით მიუქციოთ, საიდანაც ქარი იცის, რომ კონები შიგნითაც კარგა გამოშრეს.

ესე გამშრალი და მოვლილი თივა
დადგით სათვეთ ან საფარში შეინა-

ხეთ და კარგი ნოყერი თივა გექნე-
ბათ. მ. მაღალაშვილი

როგორი პირი უჩანს მოსავალს

კახეთი. რაც უნდა კარგი მოსავლია-
ნი წელიწადი იყოს კახეთში, გლეხს
ახალ მოსავლამდე მაინც არ მიჰყვება
ხოლმე საგალი და იძულებული ხდება
პური ფუთობით იყიდოს.

ეს გარემოება ნაყოფია უმიწაწყლო-
ბისა, რომელიც თან და თან თვალსაჩინო
ხდება კახეთში. დღეს მიწის მომხვნელს
თავის სახლიდან 20—30 ვერსის მო-
შორებით გააქვს გუთანი, მაგრამ იქაც
ვერა შოულობს სახნავ მიწებს. განუ-
წყვეტელად ხნავს ერთ და იმავე მიწას,
რის გამო გამოსავალი თანდათან კლე-
ბულობს და გლეხი კაცის ოჯახი და-
ქვეითებაშია.

მოუსავლობის დროს კახელი გლეხი
დიდ გაჭირვებას განიცდის. თუ მიწის
მოსავალი არაა, ღვინო, რაც უნდა ბევ-
რი მოვიდეს, ვერა ჰარაბავს პურის უმო-
სავლობას, მით უმეტეს ეხლა, როცა
ღვინის ფასი ასე დაეცა.

მოსავლისათვის ვერაფერი წელიწა-
დია წელს. მიზეზი წარსული ზამორის
სიმკაცრ-სიგრძელეა, გაზაფხულის სი-
მოკლე—სიმშრალე და ზაფხულის ხან-
გრძლივი გოლვა.

უამინდობის გამო იმდენი ვერ დაი-
თესა, რამდენიც საჭირო იყო, მაგრამ
დარს რომ ხელი შეეწყო გაზაფხულის
ნათესობისათვის, მეურნე კიდევ არას
ინაღვლიდა.

გაზაფხულის პირველში ცოტა არ
იყოს წვიმა თავ-თავის ღროზე მოდი-
ოდა, შემდეგ კი დაიჭირა სიცხვები და
ნამი ყველასათვის სანატრელი შეიქმნა.
ასეთი გვალვა კარგა ხანია არა ყოფი-

ლა. პურის მოსავალი ვერ არის კარგი,
თუმცა გამოსავალს ვერ დავემდურე-
ბით. მარცვალი სავსე და სალია, მაგ-
რამ ძნა ვერ ავიდა, ძრიელ თხელი ყა-
ნები იყო წელი. საერთოთ რომ ავი-
ლოთ, პურის მოსავალი საშუალო იქნე-
ბა წელს, თუმცა ისეთი ადგილებიც
არის, მაგალითად გაღმა მხარი, სადაც
პურის მოსავალს არა უჭირდა-რა.

რაც შეეხება სიმინდს, შარშანდელთან
შედარებით წელს ნაოთხალიც არ მო-
ვა. გვალვამ ისე ჩაკუტა, რომ ბევრ-
გან ვერც კი გაითოხნა და ისე დარჩა.
ზოგან გათოხნილიც კი ვერ ასცილე-
ბია დედა-მიწას და ვინც მოასწრო და
ავდრის წინ გათოხნა, ახლა ტაროს გა-
კეთებაში დანატრულდა ნამს.

სიმინდის ფასმა საშინლად აიწია,
ჯერ ერთი იშვიათად აქვს ვისმე გასა-
სყიდი და ახლა კოდს 2 მან. და 50 კაპ.,
3 მანეთამდე აფასებენ. თელავში ფუთი
1 მან. იყიდება ყანთარზე, ორი თვის
წინად კი ფუთი 40—45 კაპ. იყიდე-
ბოდა.

გლეხი კაცისათვის ყველა სათქმელია.
არც ბოსტნის მოსავალი იყო წელს.
მაგალითად ლობიოს ხსენება არ არის,
ნამეტნავად გამოღმა, სადაც სარწყავი
ადგილები არაა. გაღმა წყლები ბევრია
და გვალვა ისე რიგად არ აწუხებს მო-
სავალს, თუმცა წელს იქაც ისე დაშრა,
რომ წყალზე ჩსუბი და თოხების ტრია-
ლი ხშირად მოსვლიათ.

პირუტყვის საჭმელიც აფიქრებს სა-
ქონლის პატრონს. დედა-მიწა-სრულე-
ბით მოფშრუკულია, ბევრი იძულებუ-

ლია ლეწვა მივე ბზით გამოკვებოს სა-
ქანელი. წელს ისეთი უშოვნელობა
იქნება ბზისა და თივისა, როგორც შირ-
შან წინ.

ივ. პატაშვილი

ზემო იმპრესი. წელს, ზემო იმპ-
რეთში სიმინდის მოსავალიც ძლიერ ნაკ-
ლებათ არის და ლვინისაც. ვენახები მარ-
ტის დამლ ევს თოვლმა და ყინვამ დააზა-
რალა და სიმინდის ყანები კიდე იჯლისის
გოლვამა და ხანგრძლივმა ქარ-სიცხემ.
ვაზს, თუმცა ნაკლებად ასხია, მაგრამ
რაც ასხია მტევანი მთელია და მსხვილ
მარცვლოვანი. რადგან წელს ვენახები
დროზედ მოიწამლა, ჭრაჭი (მრღდიუ)
თითქმის სულ არსად სჩანს. ნაცარი კი
არის აქა-იქ. სიმინდს სამიგალითო პირი
ქონდა გაზაფხულის ბრალის, მაგრამ
ახლა კი არც ზრდა ეკიდება და არც
ნაყოფი გამოაქვს. ალიგ-ალაგ მარტში
ნათესი, ადრეულა სიმინდები მთლიად
ერთიანად ისე გახმა, რომ მოსაკრელია.
ლობიო ხომ სულ არ არის. დიდ სასო-
ჭარკვეთილებაშია ხალხი. ბათმანი (9)

ოყა) სიმინდი 80 კ. ლირს, ლვინი აქნო-
ბამდის 15--18 მან. იყიდებოდა საპალნე
(12 ფუტი) და ახლა კი 20--25 მანათამ-
დის აიწია. მომავალში ლვინის ფასმა უნ-
და კიდევ აიწიოს, რადგან შედარებით
შარშანდელზე ცოტა მოვა. **დ. მდიგანი**

გურჯაანი (კახეთი). პურისა და ქე-
რის მოსავალს ჩვენ მხარეს წელს არა
უკირს-რა. ვენახები კი დიდი სიცხეე-
ბის გამო ცოტა სტუუიან: ვაზს მტევა-
ნი ნაკლებად ასხია, თხელი მარცვალი
აქვს და კრიკინასავით წვრილი. ვერც ამ
სხვადასხვა სენით ავადმყოფობას აუიდა
ჩვენი ვენახები ყველა იმის გარდა, რაც
აქმდე იყო, ახლა კიდევ ევრედ წოდე-
ბული ვაზის ფოთლის მხვეველი
ჭია ვრცელდება და საშინელ ზარალს
აძლევს ვენახებს. კარდანაში ისე ვე-
ნახს ვერ ნახავთ, რომ ეს ჭია მოდე-
ბული არ ქონდეს. ლვინის ფასებმა აი-
წიეს 90 მანეთამდე საპალნე. უწვი-
მობაა, მაგრამ ძალიან აღარა ცხელა.

ივ ჯორჯაძე

საყურადღებო ცნობები

როგორ უნდა მოშორდეს შინაურ ფრინ-
ველს ტკირმა, ბუგრა და სხვა მწერი. სხვა-
დასხვა მწერი ეხვევა ფრინველს და აწუხებს უფ-
რო ხშირათ მაშინ, როცა ცხელა ხოლმე. თვა-
ლყური გაადგენება და შეარყობთ, რომ თუ
ფრინველს ტკირმა, ბუგრა ან სხვა მწერი რამ
მოერთა, დაღონებული, ბუმბულ აწევლი თი-
თქოს კრუხავსო ისე დადის. უნდა არინველი
დაიჭიროთ და გაშინჯოთ. თუ ახვევი, რამე
მწერი, უნდა ასე უშველოთ:

აიღეთ 4 ნაწილი ზეთი (როგორც ზელთ
გექნებათ, ხოლო უკეთესია ნიგვზის ზეთი ან
ზეითუნის ზეთი, ან ზეუჭვრიტეს ზეთი) და ერ-
თა ნაწილი საჭმელი მარილი. რადგან მარი-
ლი ზეთში ძნელად დნება, უნდა კოვზით
სრისოთ მარილი ზეთში, რომ რაც შეიძ-
ლება წვრილად დარღვენას და კარგა ეერიოს
ზეთს. შემდეგ ამ მარილიან ზეთს წაუსვამთ
ფრინველს იმ ადგილებში, სადაც მწერი ახ-
ვევია, მასთან ისე, რომ ზეთი წევსოს მარტ
ბუმბულს კი არა ფრინველისას, თვით კან-

საც, როგორზედ მწერია დაბრავებული. სხვა-
დასხვა მწერი ფრინველს გაუჩნდება ხოლმე
უფრო თავზე, ბიბილოზე, კისერზე და ნამეტ-
ნავად ფრთხების ჭვეშ იღლივებში, სადაც
მიკაწიწებულნი არიან ხოლმე კუნთების სიგ-
ძეზე.

K. X.

ხეხილების დაცვა კურდლლებისაგან და
თაგვებისაგან. ხმირათ კურდლელი ან თაგვ-
ები ისე ღრულნის კანს ნორჩ ხეხილებისას, რომ
მცენარე ხმება: მათ წინაღმდევე სულ უბრალო
საშუალება იხმარება: შემოდგომაზე ხებს,
რომელთაც თაგვი ან კურდლელი ერანებათ,
უნდა ბალაზი აბზინდა (artemisia absinthium)
შემოახვიოთ თუნდა ნამჯასთან ერთათ. ეს შე-
ხვევა ხეს ყინვისაგანაც დაიცავს ზამთარში-
და თაგვება და კურდლლელისაც აღარ მიაკარებს,
რადგან სუნი ამ ბალაზისა მათ საშინლათ
ევაგრებათ.

K. X.

რედაქ.-გამომცემელი გ. ი. რცხილაძე